საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეგობრობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბაჭოცემის მე-40 წელი

№ 78 (11689) | შაბათი, 2 აპრილი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

უპატაკებენ სამუშაოს

□ თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის კალდებულებანი. ხორცის მიყიდვის კალდებულება შესრულებულია 140 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით, კვერცხისა — 185 პროცენტით, მახვილფენა პირუტყვის ტყავისა — 100 და წვრილფენა პირუტყვის ტყავისა — 101 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

□ ბორჯომის რაიონმა 29 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის კალდებულებანი: ხორცისა — 100,4 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით და კვერცხისა — 180 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

არაჩვეულებრივი პრეს-კონფერენცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფისაგან

მატარებელი, რომლითაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ლილიდან რუანში მიდიოდა, არაჩვეულებრივი პრეს-კონფერენციის ადგილი გახდა.

ყველაფერი მოხდა არა გეგმის მიხედვით. როცა ნ. ს. ხრუშჩოვმა საუბარი დაამთავრა მის თანმხლებ ოფიციალურ პირებთან, დაინტერესდა, დიდი დრო დარჩა თუ არა რუანში ჩასვლამდე.

— საათნახევარზე მეტი, — უპასუხა ვიღაცამ.

— ეს დიდი დროა. შეიძლება კიდევაც ვიმუშაოთ, — შენიშნა ნიკიტა სერგის-ძემ.

— იქნებ შეგიძლიათ შეხვდეთ და ესაუბროთ ჟურნალისტებს? — შეეკითხა ნიკიტა სერგის-ძეს ერთ-ერთი მისი თანმხლები ამხანაგი, — ისინი ამავე მატარებლით მოდიან და ძლიერ გთხოვეს შეხვედროდით მათ...

— სიამოვნებით. მაგრამ ამის წინააღმდეგი ხომ არ იქნებიან ჩვენი სტუმაროთმოყვარე მასპინძლები? — მიმართა ნიკიტა სერგის-ძემ მინისტრ ჟოქსს, რომელიც მას ახლავს საფრანგეთის ქალაქებში მოგზაურობის დროს.

— რასაკვირველია, არა! — უპასუხა მან სიცილით, — ისე გამოიყენეთ თქვენი დრო, როგორც გნებავთ.

— ამ შემთხვევაში მე ვესაუბრები ჩვენს ძველ და ახალ თანამგზავრებს — ჟურნალისტებს. მე პატივს ვცემ ამ ადამიანების მძიმე შრომას.

და აი ვაგონში, რომელიც სავსეა მსოფლიოს სულ სხვადასხვა დეპეშათა სააგენტოებისა და ბევრი დიდი გაზეთის კორესპონდენტებით, ფოტორეპორტიორებით და კინოოპერატორებით, შედის ნ. ს. ხრუშჩოვი. როცა იგი მიუახლოვდა მაგიდას, რომელსაც უსხდნენ გაზეთ „ფრანს-სუარის“ კორესპონდენტი მ. გორდე, „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის“ სააგენტოს კორესპონდენტი ჰ. შაპირო, ამერიკის რადიოსატელევიზიო კომპანიის „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის“ კორესპონდენტი დ. შორი და სხვა ჟურნალისტები, მას უკვე გარს შემოერტყა დიდი ჯგუფი. კორესპონდენტები აჩხაკუნებენ კინოკამერებს, ფოტოაპარატებს. ახერხებენ მიკროფონი მისწიონ მაგიდასთან, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მიუჯდა, გაფაციცებით იწერენ ბლოკნოტებში თავიანთი კოლეგების კითხვებსა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის პასუხს. ერთი სიტყვით, ათობით ჟურნალისტი პირდაპირ ოფლსა ღვრიდა...

პრეს-ჯგუფმა მოახერხა ჩაეწერა არაჩვეულებრივი პრეს-კონფერენცია, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა გამართა მატარებელში ლილიდან რუანში მოგზაურობის დროს. ქვემოთ ქვეყნდება ამ ჩანაწერის ტექსტი.

უპასუხა რა მის გარშემო შეკრებილ კორესპონდენტთა გულთბილ მისალმებებზე, **ნ. ს. ხრუშჩოვმა** თქვა:

მე მოვედი თქვენთან, მეგობრებო, რათა შევიტყო თქვენი ჯანმრთელობა, შეგხვედოთ, ცოცხლები ხართ თუ არა? ახლა ვხედავ, რომ ცოცხლები ხართ. მაშ რა გინდათ შეიტყოთ ჩემგან? მზად ვარ დაგეხმაროთ, რომ შეინარჩუნოთ თქვენი ძალები.

მე ყოველთვის მეგობრული გრძნობები მქონდა თქვენდამი, კორესპონდენტებისადმი. პრესის მუშაკებისადმი. ამას სერიოზულად ვამბობ. პრესა რომ არ იყოს, შეუძლებელია ცხოვრება. უპრესოდ. ურადიოდ ცხოვრება ხომ ნიშნავს ვიცხოვროთ უკულტურոდ. უპრესოდ წარმოუდგენელია დემოკრატია. წარმოუდგენელია წინსვლა. თქვენ სხვადასხვანაირად შეგიძლიათ გაგვიგოთ, თქვენ ასეც აკეთებთ.

ჩვენი ქვეყანა კომუნიზმს აშენებს. კომუნიზმი კი საზოგადოების განვითარების უმაღლესი ფაზაა. მე მიხდება ძალიან ბევრი თქვენი სტატიის, კარგი და ცუდი სტატიების წაკითხვა. როცა ვკითხულობ სტატიებს, რომლებშიც ობიექტურად არის გაშუქებული საკითხები, ხშირად ვითხოვ, რომ ეს სტატიები გამოქვეყნდეს საბჭოთა პრესაში, მაგრამ მე არ მწყინს მაშინაც, როცა დასავლეთელი ჟურნალისტები ტყუილს წერენ. ასეთი ჟურნალისტები შესაბარალისნი არიან. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი იმ ჟურნალისტთაგანი, რომლებიც ცუდს წერენ ჩვენზე, ამას ბოროტი განზრახვით როდი სჩადიან. ზოგ მათგანს ჩვენი არ ესმის, სხვებს ამას აიძულებენ, რომლებია მეტი, ჩემთვის ძნელი სათქმელია.

მ. გორდე: ჩვენ არავინ არ გვაიძულებს. მაგრამ მე, მაგალითად, არ მიშვებენ საბჭოთა კავშირში.

ხ. ა. ვინოგრადოვი: იგი საბჭოთა კავშირზე ყოველგვარ სისაძაგლეს წერს.

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩამოდით, გიშუამდგომლებ, რომ ვიზა მოგცენ.

დ. შორი: მე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: თქვენც ჩამოდით. ბ-ნი შორი მე მახსოვს, კარგი მეხსიერება მაქვს. თუ გსურთ, განაგრძეთ ჩვენზე ცუდის წერა, წერეთ, სანამ არ დაიღლებით. ამის გამო გიამბობთ ერთ საინტერესო ისტორიას, რომელიც იუმორისტულ ჟურნალში წავიკითხე. მივიდა ერთი კაცი ექიმთან და ეუბნება: — ექიმო, რა ვქნა, რომ ცხვირი არ მიწოლდებოდეს. ექიმი ეკითხება პაციენტს: თქვენ სვამთ? — ვსვამ, — უპასუხა მან. — მაშ სვით, სანამ ცხვირი არ გაგილუჯდებათ, — ურჩია ექიმმა. **(დამსწრეთა ერთსულოვანი სიცილი).**

მინდა გითხრათ ამ ექიმის სიტყვებით: წერეთ სისაძაგლე, წერეთ, სანამ ყველა არ შემოგაფურთხებთ. **(სიცილი, ტაში).** რაც უფრო მეტს დაწერენ ტყუილს ჩვენს ქვეყანაზე, მით უფრო მალე დაუწყებენ ადამიანები ფიქრობებს იმათ, ვინც ცილისწამებასა და სიცრუეს თხზავს. რასაკვირველია, მე პირადად თქვენზე არ ვლაპარაკობ, ბატონებო. მე მხედველობაში მყავს ისინი, ვინც ყოველგვარ ჭორს წერს.

მ. გორდე: მაგრამ ეს პირიქითაც უნდა იყოს.

ნ. ს. ხრუშჩოვი: როგორ გავიგო?

მ. გორდე: რომ ჩვენზეც არ წერონ ცუდი.

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენი პრესა წერს ობიექტურად, მართლად. თქვენ, როგორც ჩანს, არ მოგწონთ, როცა იგი საკადრის პასუხს აძლევს იმათ, ვინც ცილს გვწამებს.

თუ ასეა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბევრ რამეში ვეთანხმები ქრისტეს, რომლის სახელითაც გავრცელებულია ბევრი. თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენთვის მისაღები დებულება. მე, მართალია, არ ვეთანხმები მას, როცა იგი ამბობს: თუ მარცხენა ყბაში გაგარტყეს, მარჯვენაც მიუშვირეო. მე სხვა პრინციპს ვიცავ — მე თუ მარცხენა ყბაში გამარტყეს, ისეთს ვუთავაზებ მარჯვენაში, რომ ამ საქმის წამომწყებს თავი კისერზე არ შერჩეს. **(სიცილი).**

აი, როგორც ხედავთ, რით გამოიხატება ჩემი უთანხმოება ქრისტესთან. **(დამსწრეთა ერთსულოვანი სიცილი).** შეიძლება მხოლოდ მევეასალმო ქრისტეს ისეთ მოქმედებას, როცა იგი კეტით ერეკებოდა ტაძრიდან მეზვეურებს, ვაჭრებსა და მეგახშეებს.

ამ დროს ერთ-ერთი კორესპონდენტი ეკითხება ნ. ს. ხრუშჩოვს:

— მე მომცემთ ვიზას?

ნ. ს. ხრუშჩოვი: არ ვიცი თქვენი გვარი, მაგრამ მოგცემთ.

კითხვა: ორი წლით?

ნ. ს. ხრუშჩოვი: თუნდ სამი წლით! მე ვთხოვ ჩაიწეროთ თქვენი თხოვნა ვიზის მოცემის შესახებ.

— მე უკვე შევიტანე თხოვნა ამის შესახებ, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოუციათ. — ამბობს ოდესვე კორესპონდენტი.

მ. ა. ხარლამოვი: სულ ტყუილს ამბობს!

ნ. ს. ხრუშჩოვი: რაც უფრო მეტ ტყუილს იტყვის, მით უფრო სასაცილო იქნება.

კითხვა: რას მოელით გენერალ დე გოლთან თქვენი მოლაპარაკებისაგან?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ლაპარაკი იმაზე, თუ რა შედეგები იქნება, ჯერ ნაადრევია. ამ შედეგებზე გეტყვით ვიზიტის ბოლოს.

ჰ. შაპირო: არის ცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი შეთანხმდნენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. რა იცით ამის შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ახლა, მოგზაურობის დროს, შესაძლებლობა არა მაქვს რეგულარულად ვადევნო თვალი ინფორმაციას საერთაშორისო ამბების შესახებ. მე ჯერ არ მიმიღია ოფიციალური ცნობა ამ საკითხზე.

კითხვა: რას იტყვით ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პერსპექტივებზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: პერსპექტივები ყოველთვის არის. ყველაფერს აჯობებდა, რომ ამერიკელები და ინგლისელები თავიანთსავე საკუთარ წინადადებებს მიიღებდნენ. იმიტომ რომ ჩვენი წინადადებანი ხომ არსებითად მათი საკუთარი წინადადებებია, რომლებსაც ისინი წინათ აყენებდნენ.

კითხვა: ეს განიარაღებასაც შეეხება?

ნ. ს. ხრუშჩოვი: არა, განიარაღების შესახებ დასავლეთმა წარმოადგინა წინადადებანი, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ჩვენს წინადადებასთან საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც შეტანილი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე.

კითხვა: თქვენ არ ფიქრობთ, რომ შეიძლება გამოინახოს საერთო საფუძველი?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ახლა, მოგზაურობის დროს, შესაძლებლობა არა მაქვს რეგულარულად ვადევნო თვალი ინფორმაციას საერთაშორისო ამბების შესახებ. მე ჯერ არ მიმიღია ოფიციალური ცნობა ამ საკითხზე.

კითხვა: რას იტყვით ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პერსპექტივებზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: პერსპექტივები ყოველთვის არის. ყველაფერს აჯობებდა, რომ ამერიკელები და ინგლისელები თავიანთსავე საკუთარ წინადადებებს მიიღებდნენ, იმიტომ რომ ჩვენი წინადადებანი ხომ არსებითად მათი საკუთარი წინადადებებია, რომლებსაც ისინი წინათ აყენებდნენ.

კითხვა: ეს განიარაღებასაც შეეხება?

ნ. ს. ხრუშჩოვი: არა, განიარაღების ეს არ შეეხება.

არაჩვეულებრივი პრეს-კონფერენცია

(დასასრული)

სესიის დღის წესრიგს ვერავინ ვერ დაამტკიცებს თვითონ სესიის გარდა. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან მთავრობა ამზადებენ ამა თუ იმ საკითხს, ხოლო სესია განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას — შეიტანოს ეს საკითხი დღის წესრიგში თუ არა. მოითმინეთ სესიის დაწყებამდე და ყველაფერს შეიტყობთ.

კითხვა: რატომ არ იქნებით ფორმაში, რომლის დათვალიერება გთავაზობთ? — ეს ისეთი კითხვაა, რომელიც შეგვეხება ჩვენ ორს — მე და გენერალ დე გოლს. ნუ შემოიკრებით ჯერჯერობით ამ სფეროში.

ბ. ს. ხრუშჩოვი: ბატონებო, ნახვამდის.

კორესპონდენტები გულთბილად უხდიან მადლობას ნ. ს. ხრუშჩოვს საუბრისათვის და უსურვებენ მას საფრანგეთში ვიზიტის წარმატებით დამთავრებას.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა საფრანგეთის პროფკავშირთა წარმომადგენლებთან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფისაგან

31 მარტს, საფრანგეთში მოგზაურობიდან პარიზს დაბრუნებისთანავე, ნ. ს. ხრუშჩოვს მეგობრული შეხვედრა ჰქონდა საფრანგეთის პროფკავშირთა წარმომადგენლებთან, რომლებიც მივიდნენ რეზიდენციაში კე დ'ორსეზე, სადაც რამბუიეში გამგზავრებამდე ერთი დღით გაჩერდა საბჭოთა მთავრობის მეთაური. ამ შეხვედრას დაესწრო პროფკავშირული მოძრაობის 75 მოღვაწე, რომლებიც ყველა პროფკავშირის წარმომადგენლები არიან, მათ შორის პარიზის შრომის პალატის ადმინისტრაციული კომისიის მდივანი არმან გორსი, ამ კომისიის წევრები ლეონ ფიქსი და ფელიქს ანელი, პროფკავშირულ გაერთიანება შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელი მოღვაწეები გენერალური მდივნის ბენუა ფრაშონის მეთაურობით. შრომის საყოველთაო კონფედერაციის სენის დეპარტამენტის პროფკავშირთა გაერთიანების ხელმძღვანელები გენერალური მდივნის ეჟენ ენაფის მეთაურობით; ნაღაროელთა, რკინიგზელთა, მოსამსახურეთა, მანქანათმშენებელთა და სხვ. პროფკავშირეების ფედერაციების მდივნები; მსხვილი საწარმოების პროფკავშირთა ხელმძღვანელები. ესწრებოდნენ აგრეთვე სხვა გაერთიანებებში — „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციაში"; „ფორს უვრიერში" შემავალი პროფკავშირების წარმომადგენლები, კერძოდ, პოლ ბინიონი — პარიზის სადაზღვევო კომპანიების პროფკავშირულ მუშაკთა ბიუროს წევრი („საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაცია"), ედუარდ მიშო — „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის" საავიაციო ქარხანა „სიუდ-ავიასიონის" პროფკავშირის წარმომადგენელი, ელი კალფონი — „ფორს უვრიერის" პროფკავშირის მდივანი ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა „აოიპში", გასტონ სალი — მდივანი „ფორს უვრიერის" პროფკავშირისა, რომელიც აერთიანებს ეროვნული სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის მშრომელებს და სხვ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა პროფკავშირულ მოღვაწეებს და უპასუხა მათ კითხვებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფს მოჰყავს ამ საუბრის ჩანაწერი და პასუხი კითხვებზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი: ძვირფასო მეგობრებო, ამხანაგებო. აი ვფიქრობ, როგორ გავატარო თქვენთან შეხვედრა? მე მოვისმინე საფრანგეთის პროფკავშირთა წარმომადგენლის სიტყვა. მივესალმები მის ნათქვამ სიტყვებს. მაგრამ მთელი გასაჭირი, როგორც რუსები იტყვიან, ის არის, რომ მე მომზადებული მაქვს სიტყვა თქვენთან შეხვედრისათვის, მაგრამ იგი 13 გვერდზეა. თუ ყველაფერს წავიკითხავ, ამას დიდი დრო დასჭირდება, და, ასე ვთქვათ, შეიჭმება ის საათები, რომლებიც მე შეხვედრისათვის გამომიყვეს. იქნებ როგორმე ვიშმაკოთ, თუ თქვენ თანახმა ხართ. მომზადებულ სიტყვას უფრო გვიან გადავცემ თქვენს წარმომადგენლებს, და ისინი, თუ მოისურვებენ, გაავრცელებენ მას თქვენს შორის, ამ შეხვედრის მონაწილეთა შორის, ჩვენ კი მოვაწყობდით ცოცხალ საუბარს თავისუფალ თემებზე, რომელთა აღძრა თქვენ გსურთ. სიამოვნებით გიპასუხებთ თქვენს კითხვებზე. შესაძლოა თუ არა ეს? **(მოწონების შეძახილები. ტაში).**

არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდე. მე, რა თქმა უნდა, არ ვიცნობ საფრანგეთის კანონებს, — თქვენ დამეხმარეთ, — ხომ არ არღვევს ეს თქვენს კანონებს, ხომ არ დამდებენ ბრალად რაღაც პროპაგანდას და არალეგალური ლიტერატურის დარიგებას? **(დამსწრეთა მხიარული გამოცოცხლება).**

ერთხელ კიდევ ვიმეორებ — ეს სიტყვა მე მოვამზადე, და თუ გინდათ დაიტანჯოთ, წაგიკითხავთ. თუ არ გინდათ, გსურთ საუბარი მოვაწყოთ, შემიძლია გადმოგცეთ იგი, დაე შესაბამისმა ორგანოებმა ნახონ, რომ ეს ლეგალური ლიტერატურაა, და მე მას მოგცემთ. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).** ჩემი აზრით არავითარი კანონსაწინააღმდეგო მოწოდება ამ სიტყვაში არ არის. **(დამსწრეთა მხიარული გამოცოცხლება).**

თქვენი განწყობილების მიხედვით ჩანს, რომ უკეთესია ვისაუბროთ, ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო... **(მოწონების შეძახილები. ტაში).**

უწინარეს ყოვლისა მინდა მადლობა მოგახსენოთ იმ კეთილი და გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც აქ ითქვა ჩვენი სახელმწიფოს მიმართ, ჩვენი მუშათა კლასის მიმართ

საბჭოთა კავშირი ახლა განიცდის დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ აღძაველობას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით. ეკონომიკა ახლა გვახარებს. ჩვენი გეგმები გრანდიოზულია, და ეს გეგმები არა მარტო მთლიანად, აოამედ გადაჭარბებითაც სრულდება. საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობაც ახლა დიდ აღმავლობას განიცდის. კოლმეურნეობები დღითიდღე ძლიერდებიან, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შვიდწლედში მივაღწევთ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ისეთ დონეს, რომ დავეწევით ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძისა და ხორცის წარმოების მხრივ — აღარაფერს ვამბობ, მაგალითად, ხორბლის ან კარაქის წარმოებაზე — ამ პროდუქტების მიხედვით ჩვენ უკვე გადავჭარბეთ შეერთებული შტატების დონეს.

რატომ ვამბობთ, რომ დავეწევით ამერიკის შეერთებულ შტატებს? ყველა ხალხის თვალში ეს ყველაზე მდიდარი, მრეწველობის მხრივ დიდად განვითარებული ქვეყანაა. ამიტომ ჩვენთან დავაში, კომუნისტებთან დავაში, კაპიტალიზმის მომხრეები მაგალითისათვის ყოველთვის ამერიკას იღებენ: აი, ამერიკის შეერთებული შტატები კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ ეკონომიკის განვითარების რა მაღალი დონე აქვს — უფრო მაღალი, ვიდრე სოციალისტურ ქვეყნებსო.

დიახ, ეს ჯერჯერობით ასეა. მაგრამ საბჭოთა კავშირი სოციალისტური ქვეყანაა, რომელიც კომუნიზმს აშენებს, და მან დაისახა ამოცანა — შეერთებულ შტატებთან მშვიდობიან შეჯიბრებაში გაუსწროს ამ ყველაზე დიდადგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას და ამით ცხადყოს სოციალისტური წყობილების ყველა უპირატესობა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ ამას მივაღწევთ და არა მარტო დავეწევით, არამედ კიდეეაც გავუსწრებთ შეერთებულ შტატებს.

ამჟამად ჩვენ ვადგენთ ჩვენი ეკონომიკის განვითარების გეგმას დაახლოებით 20 წლისათვის. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ 20 წელიწადში, ეტყობა, ერთიორად და უფრო მეტად გადავჭარბებთ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ წარმოებას ერთ სულ მოსახლეზე.

წელს ჩვენ დავამთავრებთ მუშების გადასვლას 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე, მეშახტეებისათვის. მეტალურგებისა და ძნელი საწარმოო პირობების მქონე ზოგიერთი სხვა პროფესიებისათვის კი — 6 საათის სამუშაო დღეზე. 1964 წელს ჩვენი შვიდწლიანი გეგმის მიხედვით დავიწყებთ 7 საათის სამუშაო დღიდან 6 საათის სამუშაო დღეზე გადასვლას, ხოლო მეშახტეები, მეტალურგები და საწარმოო პირობებით ანალოგიური სხვა პროფესიების მუშები გადავლენ 5 საათის სამუშაო დღეზე. ეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე მოკლე სამუშაო დღე იქნება მსოფლიოში ხელფასის სრულად შენარჩუნების პირობებში და მისი ზრდის პირობებშიც კი.

მეცნიერების, ტექნიკის შემდგომი განვითარება, წარმოების რეორგანიზაცია, ნაკადური ხაზებისა და ავტომატიკის შემოღება საშუალებას მოგვცემს განვაგრძოთ სამუშაო დღის შემოკლება და ხელფასის გადიდება.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ადამიანები მზად არიან შეეჯიბრონ კაპიტალისტურ ქვეყნებს, უჩვენონ ყველას შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების მაგალითი, მზად არიან ცხადყონ, თუ რა შეუძლია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს. ახალი გაკვეთილი მიეცემა ყველას, ვისაც საეჭვოდ მიაჩნია ჩვენი წყობილების უპირატესობანი, როცა ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფს კიდევ უკეთეს საწარმოო პირობებს, უფრო დიდ ხელფასს, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყველაზე მაღალ ცხოვრების დონეს, კულტურული განვითარებიდ დონეს.

ჩვენ, მაგალითად, ვამაყობთ იმით, რომ მთელი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება ჩვენს ქვეყანაში უფასოა. საბჭოთა ადამიანს — მუშას, გლეხს, ინტელიგენტს გაუკვირდება, რომ უთხრან, თუ კაცი ავად გახდა, მას ფული უნდა ჰქონდეს ექიმის გამოსაძახებლადო; თუ ავადმყოფს ფული არა აქვს, იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებში ან სხვა ასეთსავე ქვეყანაში მასთან ექიმი არ წავა.

ჩვენში ექიმი არათუ შეამოწმებს ავადმყოფს, არამედ თუ ოპერაცია ესაჭიროება, თუნდაც ყველაზე რთული, ამ ოპერაციას უფასოდ გაუკეთებენ, ავადმყოფს საავადმყოფოში დაიწვენენ და უფასოდ იქნება იქ, სანამ მთლად არ გამოჯანსაღდება. გარდა ამისა, სახელმწიფო მას აძლევს დახმარებას იმ დროისათვის, როცა იგი სამკურნალოდ იმყოფება საავადმყოფოში.

აი ჩვენი კანონმდებლობის ერთ-ერთი მაგალითი.

ამჟამად საბჭოთა კავშირში დიდი მუშაობა წარმოებს, რათა კიდევ უფრო განვავითაროთ სოციალისტური დემოკრატია ჩვენს სახელმწიფო მართვაში. მთელი რიგი ფუნქციები, რომლებსაც სახელმწიფო ასრულებდა, გადაეცემათ პროფკავშირებს. ავიღოთ, მაგალითად, ფიზკულტურის საკითხები. უკანასკნელ ხანამდე ჩვენში იყო სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს განაგებდა. ჩვენ ეს გადავეცით პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში. ამჟამად ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები თვითონ ზრუნავენ ფიზიკური კულტურისათვის, საბჭოთა ადამიანების სპორტული განვითარებისათვის. რატომ უნდა აგებდეს პასუხს ფიზკულტურის განვითარებისათვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე? დაე ამისათვის პასუხი აგონ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, სპორტულ საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარემ, პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეებმა, კომკავშირმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებსაც ახლა პროფკავშირთა გამგებლობაში გადავცემთ. რატომ მარტო მთავრობა უნდა განაგებდეს ამ საქმეს? დაე პროფკავშირებმა იმუშაონ მშრომელთა დასვენების საკითხებზე, თვითონ გაახარონ ადგილები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. პასუხი აგონ ამ საქმისათვის პროფკავშირთა წევრების წინაშე. მაშინ მეც როგორც პროფკავშირის წევრს შესაძლებლობა ძმეცემა გავაკრიტიკო ჩემი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი დასვენების ორგანიზაციის გამო. **(მხიარული გამოცოცხლება დამსწრეთა შორის. ტაში).**

ვიცი, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ზოგიერთი გაზეთი ჩვენი პროფკავშირების შესახებ წერს, თითქოს მათ თავისუფლება არ ჰქონდეთ, და ამასთან იმოწმებენ იმას, რომ ჩვენში მუშები არ იფიცებიან. მართალია, ჩვენში მუშები არ იფიცებიან. რატომ არ იფიცებიან? იმიტომ, რომ ჩვენში მუშებისა და გლეხების სახელმწიფოა. ვის წინააღმდეგ უნდა გაიფიცოს, ყველაფერი ხომ ხალხს ეკუთვნის. თავიანთი თავის წინააღმდეგ? მე თვითონ წარსულში მუშა ვიყავი და იყო დრო, რომ გაფიცვებში ვიმონაწილეობდი. თუმცა ჯერ კიდევ ჭაბუკი ვიყავი, მაგრამ მუშების ნდობით ვსარგებლობდი და არაერთხელ ვყოფილვარ მუშების დელეგატთა შორის მეწარმეებთან მოლაპარაკებაში. გაფიცვა გართობა კი არ არის მუშებისათვის, არამედ იძულებული მძიმე საჭიროებაა, და განსაკუთრებით რუსი მუშისათვის. ყველგან როდი იყო ჩვენში პროფკავშირები, ყველგან როდი იყო ურთიერთდახმარების სალაროები. ამიტომ, როცა მუშები გაფიცებოდნენ, ზოგჯერ უკანასკნელ სარჩოს დახარჯავდნენ და ხშირად შიმშილობდნენ. მაძღარნი გაფიცვას როდი აწყობენ — მას შიმშილის გამო აწყობენ.

ახლა საბჭოთა კავშირში ცხოვრების დონე და მუშათა ხელფასი ყოველწლიურად იზრდება. არ ყოფილა არავითარი გაფიცვა, არ ყოფილა მუშათა მოთხოვნები. მაგრამ ჩვენმა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოიანგარიშა და მოახსენა მთავრობას, რომ არის შესაძლებლობა 8 საათის სამუშაო დღიდან გადავიდეთ 7 საათის სამუშაო დღეზე ხელფასის შეუმცირებლად, და მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და გამოაქვეყნა ეს გადაწყვეტილება პრესაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1964 წელს 7 საათის სამუშაო დღის ნაცვლად შემოვიღოთ, 6 საათის სამუშაო დღე, ხოლო მეტალურგიაში, ქვანახშირის, ქიმიურ მრეწველობაში და მრეწველობის სხვა მსგავს დარგებში 5 საათის სამუშაო დღე.

მითხარით, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, კაპიტალისტურ საწარმოში, რომ შახტის ან ქარხნის პატრონს ეხმოს მუშები და ეთქვას მათთვის: ამა და ამ რიცხვიდან გიმცირებთ სამუშაო დღეს, გიდიდებთ ხელფასსო. **(სიცილი დამსწრეებში).** ასეთი კაპიტალისტი რომ გამოჩენილიყო, მას ალბათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანდნენ და შეამოწმებდნენ, ჯანმრთელია თუ არაო. **(მხიარული გამოცოცხლება).** რატომ? იმიტომ, რომ ეს საქციელი ეწინააღმდეგება კაპიტალისტური სისტემის არსს, ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია კაპიტალიზმის დროს. ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში კი ეს ნორმალურია, ეს ბუნებრივია. აი ამიტომ ჩვენში მუშები არ იფიცებიან, აი ამიტომ პროფკავშირები რაზმავენ მუშებს იმ მიზნით, რომ მათ ძალე შეასრულონ გეგმა, და მაშინ მეტ დოვლათს მიიღებს მუშათა კლასი და გლეხობა.

ყოველივე ამას მე თქვენ გეუბნებით უკვე არა როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, არამედ როგორც პროფკავშირის წევრი. **(მხიარული გამოცოცხლება).** მეც ხომ პროფკავშირის წევრი ვარ! **(ტაში).**

აი მოკლედ პროფკავშირების შესახებ.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ არის დაყენებული განათლება ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირში ყველა ბავშვი უფასოდ სწავლობს. უფრო მეტიც, სახელმწიფო სტიპენდიას აძლევს იმათ, ვინც უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს. სულ უფრო ფართოდ ვითარდება სკოლა-ინტერნატები. წინათ მხოლოდ არისტოკრატები და ბურჟუაზია აბარებდნენ თავიანთ შვილებს ინტერნატებში, პანსიონებში. საბჭოთა კავშირში მუშათა კლასი და გლეხობა, ყველა მშრომელი ისარგებლებს ამ სიკეთით.

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა კავშირში სახალხო განათლების განვითარების დონით. ჩვენ 1959 წელს გამოვუშვით ინჟინრები, მარტო ინჟინრები 106.000 კაცი. ცუდი არ არის ხომ?! **(ტაში).**

მინდა სწორად გამიგოთ, მე ამით ვამაყობ. მე, ჩემს ამხანაგებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ეს გვსიამოვნებს. რუსეთი წარსულში ნახევრადწიგნიერი იყო. მუშათა კლასმა თავის ხელში აიღო ძალაუფლება, და ახლა ჩვენ, საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს, მსოფლიოში პირველი ადგილი გვიკავია განათლების საკითხებში.

ბურჟუაზიული ქვეყნები, განსაკუთრებით წარმოების კაპიტალისტური წესის იდეოლოგები აგდებულად გვეპყრობოდნენ; ეს გლეხური, ნახევრად წიგნიერი ქვეყანააო და სხვა და სხვა. ჩვენ გამოვაღვიძეთ ზოგიერთი ასეთი მოღვაწე, როცა თანამგზავრი გავუშვით ცაში. ამით საბჭოთა ხალხმა ცხადყო, თუ რა შესაძლებლობანი და რა ნიჭი აქვს ჩვენს წყობილებას, მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას! **(ტაში).**

ახლა ამერიკელებს სურთ დაგვეწიონ რაკეტმშენებლობაში. იქნებ თქვენ ფიქრობდეთ, რომ როცა ისინი იმოქმედებენ, რათა დაგვეწიონ, ამ დროს ჩვენ ძილში ვიქნებით? **(ერთსულოვანი სიცილი).** ასე არ ხდება. ჩვენ წინ ვივლით, და ისინი ვერ დაგვეწევიან. და მე გეტყვით, რატომ არ შეიძლება დაგვეწიონ. ჩვენ ვრაზმავთ საუკეთესო ძალებს ჩვენი გამოგონებებისათვის, მეცნიერული საქმიანობისათვის. ჩვენ ვსარგებლობთ რეზერვუარით, რომელსაც შეადგენს 212 მილიონი კაცი. არც ერთ ნიჭიერ ადამიანს, როელსაც სწავლა სურს, არ აწუხებს პრობლემა — ისწავლოს თუ არა. საბჭოთა სახელმწიფო მას აძლევს სტიპენდიას — ისწავლე, არ იზარმაცოო. კაპიტალისტურ სამყაროში კი ხშირად ის როდი სწავლობს, ვინც გონიერია, ვისაც სწავლა სურს, არამედ ის, ვისაც ფული აქვს იმისათვის, რომ ისწავლოს. და ხშირად ხდება ხოლმე, რომ ახალგაზრდა ზის უნივერსიტეტში, მაგრამ საჭირო ცოდნას ვერ იძენს, მხოლოდ ადგილს იკავებს.

ჩვენს ქვეყანაში, მეგობრებო, საქმეები კარგად მიდის. ჩვენ გაბედულად შევყურებთ მომავალს. ჩვენ გვიხდა ძმეიდობა, მშვიდობიანი თანხაარსებობა და დარწმუნებული ვართ ჩვენი წყობილების უპირატესობაში. თუ ვინმემ მოისურვა გვაჯობოს, სცადოს! ნუ ვამბობ — გვაჯობოს მშვიდობიანი შეჯიბრების აზრით. ომში ჩვენ ახლა ვერავინ ვერ გვაჯობებს! იცით, ასე ხდება ხოლმე: მამა ზოგჯერ ცდილობს ჭკუა ასწავლოს შვილს ფიზიკური ზეგავლენის საშუალებებით. **(მხიარული გამოცოცხლება).** მაგრამ თუ მამამ ვერ გაითვალისწინა რეალობა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შვილი ბოლოს და ბოლოს, თვითონ დააფრთხობს ასეთ მამას, ეტყვის, მამაჩემო, რას სჩადიხარო?! **(მხიარული გამოცოცხლება).**

კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, როგორც კი დავიბადეთ, წკეპლით დაგვიწყეს სწავლება. ფრანგებმა თავიანთი ჯარები გადმოსხეს ოდესაში, ინგლისელებმა თავიანთი ჯარები გადმოსხეს მურმანსკში, ამერიკელებმა და იაპონელებმა — ვლადივოსტოკში, გერმანელებმა და პოლონელმა შლიახტიჩებმა უკრაინას შემოუტიეს, მეფის გენერლებმა აჯანყება მოაწყეს თვით ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვაწვნებდნენ ყოველი მხრიდან, გვცდიდნენ, ფეხზე როგორ დგანხარ. გამოცდამ ჩვენ გვარგო. ჩვენ გავუძელით და ყველა იერიში მოვიგერიეთ. ფრანგები ჩვენ, მაპატიეთ, გავრეკეთ **(მხიარული გამოცოცხლება)** ოდესიდან, ინგლისელები გავრეკეთ მურმანსკიდან, ამერიკელები და იაპონელები — შორეული აღმოსავლეთიდან, გავანადგურეთ თეთრგვარდიელები. თქვენ მოგეხსენებათ, თუ რით დამთავრდა მეორე მსოფლიო ომიც.

ახლა ჩვენ, როგორც იტყვიან ჩვენში, მამისეულ შარვალში ვიღარ ვეტევით და საკუთარი შევიძინეთ. კუნთები გავიმაგრეთ — არავითარი მუქარისა არ გვეშინია, საიდანაც უნდა გვემუქრებოდნენ.

მაგრამ საბჭოთა ადამიანებს მშვიდობა უნდათ. მეურნეობის სოციალისტური განვითარების მაგალითით, კომუნიზმის მშენებლობით ჩვენ, თქმა არ უნდა, ძალიან გავუფუჭებთ გუნებას კაპიტალისტურ სამყაროს. მაგრამ გუნებას გავუფუჭებთ იმით, რომ საბჭოთა ადამიანებს ექნებათ ყველაზე მოკლე სამუშაო დღე, ყველაზე დიდი ხელფასი, უკეთესი საბინაო პირობები, მოსახლეობის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

გულთბილი, გულითადი შეხვედრები

პარიზი, 31 მარტი. (საკდისის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს თავის პარიზის რეზიდენციაში მიიღო საფრანგეთის პროფკავშირული მოძრაობის მოღვაწეთა ჯგუფი.

ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად შეიკრიბნენ მშრომელების — მეელექტროენერგეთიკოსების, მშენებელი მუშების, მეშახტეების, რკინიგზელების, ეროვნული განათლების მუშაკების, მოსამსახურეების, პროფკავშირულ გაერთიანებათა წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის იყვნენ პარიზის შრომის პალატის ადმინისტრაციული კომისიის მდივანი არმან გორსი, აგრეთვე ამ კომისიის ზოგიერთი წევრი, შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი და საფრანგეთის მშრომელთა ამ უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების მდივნები ლუსიენ ჟანი და ანდრე მერლო, ყოფილი მინისტრი მარსელ პოლი. აქვე არიან საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციისა და „ფორს უვრიერის" პროფკავშირთა ზოგიერთი წარმომადგენელი, აგრეთვე პარიზის რაიონის უდიდეს სამრეწველო საწარმოთა დელეგატები.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოჩენას მჭუხარე ტაშით ხვდებიან.

საპატაო საბჭოთა სტუმარს ყველა დამსწრის სახელით მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა სენის დეპარტამენტის პროფკავშირული გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ეჟენ ენაფმა. მან მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს ამ მიღებისათვის და განაცხადა, რომ საფრანგეთის მშრომელნი დიდად ნასიამოვნები იქნებიან პატივისცემისა და მეგობრობის ამ ნიშნით.

— საფრანგეთის მშრომელებს, — გააგრძო შემდეგ ენაფმა, — არასოდეს არ დაკარგეთ ნდობა და არასოდეს არ დაკარგეთ სიბეჯითე. ეს ორმაგი ნდობა ამ ადამიანებს ეხმარებოდა ფაშისტური ბრძოლაში ჰიტლერიზმისა და გერმანული მილიტარიზმის მოსპობისათვის.

საბჭოთა მშრომელებთან ერთად, რომლებთანაც ჩვენ მუდამ გვქონდა მეგობრული და სოლიდარული ურთიერთობა, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მათ შორის გერმანიის მშრომელებთან ერთად, ამბობს ეჟენ ენაფი, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას გერმანული მილიტარიზმის წინააღმდეგ, ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

ენაფი ნ. ს. ხრუშჩოვს უსურვებს ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს მის მოღვაწეობაში, რომლის მიზანია საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს ხალხების კეთილდღეობა. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს საჩუქარი — ორი ტურათი, რომლებიც, როგორც ენაფმა თქვა, ნიკიტა სერგეს-ძეს მოაგონებენ პარიზს, საფრანგეთის მუშათა კლასის ბრძოლებს.

სხვა პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც შეეგებნენ ესწრებოდნენ, აგრეთვე მიართვეს ნ. ს. ხრუშჩოვს სამახსოვრო ალბომები, სურათები, ნახატები, წერილები და მისალმებები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა დელეგატებს საჩუქრებისათვის, მხურვალედ ჩამოართვა მათ ხელი.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და ყველა დამსწრეს შორის გაიმართა გულთბილი, გულთადი საუბარი.

საღამოს სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა დიდი დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. რომელიც სახელმწიფო ვიზიტით არის საფრანგეთში.

დარბაზობას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა პირები, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მეთაურს ახლავან საფრანგეთში მისი მოგზაურობის დროს, საბჭოთა საელჩოს და საფრანგეთში სხვა საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საფრანგეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მიშელ დებრე, საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მურვილი, უბორტფელო მინისტრი ეკინო და საფრანგეთის მთავრობის სხვა წევრები, ეროვნული კრების თავმჯდომარე შაბან დელმასი, სენატის თავმჯდომარე მონრვილი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მორის დეჟანი და სხვა ოფიციალური პირები.

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე პარიზში აკრედიტებული უცხოელთა საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

საელჩოს დარბაზებში ნ. ს. ხრუშჩოვის მოსვლამდე შეიკრიბნენ მოწვეულნი. მათ შორის არიან პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, საქმიანი წრეების, პრესის წარმომადგენლები.

სტუმრებს შორის არიან საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი ჟაკ დიუკლო და კომპარტიის სხვა ხელმძღვანელები. საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ხელმძღვანელები გენერალ პეტის მეთაურობით, საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ხელმძღვანელები, ფრანგული კულტურის მოღვაწეები.

18 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით საელჩოს ჭიშკართან გაჩერდა ავტომანქანა სსრ კავშირის სახელმწიფო ალმით. ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. პ. ხრუშჩოვა წყვილ ხალიჩაზე მიდიან. საელჩოს შენობაში. საელჩოს თანამშრომლები და სტუმრები, რომლებიც ეზოში და შესასვლელთან შეკრებილან, მხურვალე ტაშით ეგებებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს. პატარა ბიჭმა მიირბინა ნ. ს. ხრუშჩოვთან და ყვავილების თაიგული მიართვა მას.

სსრ კავშირის ელჩის თანხლებით ნ. ს. ხრუშჩოვმა დათვალიერა საელჩოს დარბაზები, მიესალმა სტუმრებს. მეგობრულად უპასუხა მათ მისალმებაზე.

დარბაზობაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მიშელ დებრემ სიტყვები წარმოთქვეს.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ჩასვლა ქალაქ ბორდოში.

ფოტო საკდისის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. სობოლევისა.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა საფრანგეთის პროფკავშირთა წარმომადგენლებთან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში. სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი ესალმება ქალაქ ბორდოს მერს საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს შ. შაბან-დელმასს.

ფოტო საკავშირო სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. სობოლევისა.

(დასასრული)

უკეთესი კულტურული მომსახურება. დე კაპიტალისტებმა მისცენ ეს თავიანთ მუშებს. **(მხიარული გამოცოცხლება).**

აი შევეჯიბროთ ერთმანეთს, ხოლო მშრომელი ადამიანები თვითონ გამოიტანენ დასკვნას, რა უკეთესია — კაპიტალიზმი თუ კომუნიზმი. ამას უკვე ჩვენ, საბჭოთა კავშირი, კი არ გადავწყვეტთ, არამედ ამას გადაწყვეტენ თვითონ ქვეყნის ხალხები. სწორედ ეს არის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა.

აი, არსებითად, მოკლედ ჩვენი მდგომარეობის შესახებ.

საბჭოთა საზღვრები მეგობრებისათვის ღიაა; სტუმრებს ვთხოვთ მობრძანდნენ, მხოლოდ უიარაღოდ. **(სიცილი).** ჩვენი ხალხების უკეთესი კარგი ჩვეულებით შევხვდებით კარგ სტუმარს, შევხვდებით პურ-მარილით, მაგრამ იმათ, ვისაც ჩვენში სურს მოვიდეს იარაღით, რა თქმა უნდა, სათანადოდ მოვეპყრობით. **(მხიარული გამოცოცხლება. ტაში).**

ვფიქრობ, ახლა მე უნდა შევწყვიტო ჩემი გამოსვლა, და თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა, სიამოვნებით მოგისმენთ და შეძლებისამებრ გიპასუხებთ.

„ფორს უვრიერის“ პროფკავშირის წარმომადგენლის კითხვა: როცა თქვენი აქ ჩამოსვლა შევიტყე, ძალიან გამიხარდა, ესარგებლობ შემთხვევით და მინდა მოგცეთ ორი კითხვა:

1. — რა განსხვავებაა ინჟინრისა და მუშის ხელფასს შორის?

2. — არის თუ არა პროფკავშირის აქტივისტი აუცილებლად პოლიტიკური მოღვაწე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: შემიძლია გითხრათ, რომ ხელფასი მრეწველობის სხვადასხვა დარგში სხვადასხვა პროფესიას სხვადასხვა აქვს. მოვიყვან მაგალითს ქვანახშირის მრეწველობიდან, რომელსაც მე, როგორც ყოფილი მეშახტე, კარგად ვიცნობ. ჩამოდით ჩვენში, დონბასში, და თქვენ ნახავთ ბევრ მეშახტეს, რომლებიც საყელავ მანქანაზე მუშაობენ და დაახლოებით ერთიორად მეტი გამომუშავება აქვთ, ვიდრე საშთო ინჟინერს. თუ მელითონეებს ავიღებთ, ალბათ ინჟინრის ხელფასი 30-40 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე კვალიფიციური მუშისა. (ცნობები მომყავს, როგორც გამახსენდა. შესაძლოა, ეს ცნობები მთლად ზუსტი არ იყოს).

ა. ნ. კოსიგინი: ეს სწორი ცნობებია.

ნ. ს. ხრუშჩოვი: კვალიფიციური მუშისა და არაკვალიფიციური მუშის ხელფასის განსხვავება აგრეთვე ალბათ დაახლოებით 50 პროცენტი იქნება.

სოციალისტური მშენებლობის პერიოდში შრომის ანაზღაურების ძირითადი პრინციპია თვითეული მშრომელის მატერიალური დაინტერესების პრინციპი. ხელფასი აუცილებლად ისე უნდა იყოს დაწესებული, რომ იგი სტიმულს აძლევდეს თვითეულ მუშასა და ინჟინერს შეიძინონ ცოდნა, აიმაღლონ კვალიფიკაცია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მატერიალური დოვლათის დასაგროვებლად, უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების დონის გახუნყვეტელი ამაღლება.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში შევიდა, ჩვენ ვახორციელებთ დიდხელფასიანი კატეგორიების ხელფასის ზრდის შეკავების პოლიტიკას და ვზრდით მცირეხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასს, რათა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა შრომის ანაზღაურება თანაბარი იქნება ყველა შრომელისათვის. თქვენ მოგეხსენებათ, რომ კომუნიზმის დროს განხორციელდება პრინციპი: თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით. საბჭოთა ქვეყანა ამ გზით მიდის, და ჩვენ ვახორციელებთ შრომის ანაზღაურების ისეთ პოლიტიკას, რომ თანდათან მივუახლოვდეთ კომუნიზმის ძირითადი პრინციპის განხორციელებას.

გიპასუხებთ მეორე კითხვაზე— აუცილებლად უნდა იყოს თუ არა პროფკავშირის აქტივისტი პოლიტიკური მოღვაწე?

პროფკავშირულ მოღვაწეებს ჩვენში აწინაურებენ იმ გზით, რომ მათ ირჩევენ პროფკავშირის წევრები. პროფკავშირის ხელმძღვანელი რომ იქნე, სულაც არ არის აუცილებელი კომუნისტური პარტიის წევრობა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ გქონდეს ისეთი მონაცემები, რომლებსაც დაიფასებენ ამხანაგები პროფკავშირში, რომ ისინი გენდობოდნენ.

თუ აირჩევენ უხეირო ხელმძღვანელს, რომელსაც საჭირო თვისებები არ გააჩნია, შემდეგ პროფკავშირულ არჩევნებში აირჩევენ სხვას, უფრო უნარიან და პატივცემულ ამხანაგს. მე ვფიქრობ, თქვენშიც ასე ხდება. **(სიცილი დარბაზში).**

კიდევ რა შეკითხვები გაქვთ?

კითხვა: თქვენ ახლა გვითხარით, რომ თქვენი საზღვრები სტუმრებისათვის ღიაა. შეუძლიათ თუ არა ახალგაზრდა ფრანგებს ჩამოვიდნენ თქვენში, რათა თქვენს ქვეყანაში გაატარონ თავიანთი შვებულება?

ნ. ს. ხრუშჩოვი: მივესალმებით ამ განზრახვას. მობრძანდით, თქვენს განკარგულებაშია ჩვენი გზები და ჩვენი პანსიონატები.

კითხვა: მე მინდა დავაზუსტო, შესაძლებელია თუ არა თავისუფალი მოგზაურობა თქვენს ქვეყანაში, შეუძლიათ თუ არა უცხოელ ტურისტებს იმგზავრონ სხვადასხვა მარშრუტით, ექნებათ თუ არა შესაძლებლობა გამალონ ამა თუ იმ ადგილას თავისი კარავი?

ნ. ს. ხრუშჩოვი: მე მაოცებს, როგორ გამოგიტენეს თავი ამ სისულელით საბჭოთა კავშირის მტრებმა. **(სიცილი).** ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ჩვენში ყოველი ადამიანი ეკითხება პოლიციელს, თუ რა უნდა ილაპარაკოს და როგორ უნდა იქცეოდეს! **(სიცილი).**

ჩამობრძანდით საბჭოთა კავშირში. ჩვენში არიან ტურისტები, მთამსვლელები, ჩვენში ვითარდება სხვა სახეობათა სპორტი, ყოველივე ეს თქვენს განკარგულებაში იქნება. ჩვენი ახალგაზრდობა გიჩვენებთ თავის შესაძლებელი კითხვაა. მეორე კითხვა — რა შეხედულებისა ხართ თქვენ აზრის თავისუფლების პატივისცემაზე? მესამე კითხვა — ავტონომიურობისათვის საჭირო პირობად მიგაჩნიათ თუ არა კაცობრიობის მორალური და მატერიალური ევოლუცია.

ნ. ს. ხრუშჩოვი: პროფკავშირები მუშათა კლასის ორგანოებია, და თუ ეს ორგანოები დამოკიდებულია მთავრობაზე, ისინი აღარ არიან მუშათა კლასის წარმომადგენლები. პროფკავშირები მუშათა კლასის ორგანოებია, და მუშათა კლასი ქმნის პროფკავშირებს ისე, რომ ისინი მთავრობისაგან დამოუკიდებელი იყონ. თუ ეს პროფკავშირები მთავრობაზე დამოკიდებული ხდებიან, ისინი კარგავენ იმ მუშათა ნდობას, რომლებმაც ისინი აირჩიეს.

ახლა გიპასუხებთ მეორე კითხვაზე. ჩვენ ვდგავართ იმ პოზიციებზე, რომ თვითეული ადამიანის ინდივიდუალობა ყველა ღონისძიებით უნდა ვითარდებოდეს. მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შესწევთ რაღაც დიდ შემოქმედებით გამოვლინებათა უნარი. თუ ავიღებთ რომის ისტორიას და მისი კულტურის განვითარებას, თქვენ იცით, რომ ყოველივე ეს მონური წყობილების დროს იყო. სწორედ იმიტომ დაიღუპა რომის იმპერია, რომ ადამიანი იქ თავისუფალი არ იყო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი საბჭოთა წყობილება საშუალებას აძლევს ყოველ ადამიანს გამოიჩინოს ინდივიდუალობა თავისუფლების პირობებში. და რაც უფრო მივუახლოვდებით კომუნიზმს, მით უფრო მეტი იქნება იმის შესაძლებლობა, რომ კომუნისტური საზოგადოების თვითეულმა მშრომელმა გამოავლინოს თავისი ინდივიდუალობა.

ვფიქრობ არ გეწყინებათ, რომ გელაპარაკებით სოციალისტურ წყობილებაზე, სოციალისტურ სახელმწიფოზე, ჩვენს კომუნისტურ მრწამსზე და მაგალითები მომყავს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებიდან.

თქვენი კითხვები ისე მესმის, რომ თქვენ გინდათ მიიღოთ ახსნა, თუ როგორ გვესმის პიროვნების თავისუფლება ჩვენ, კომუნისტებს, საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლებს. ამას იმისათვის გეუბნებით, რომ კომუნისტური პროპაგანდა არ დამდოთ ბრალად. **(მხიარული გამოცოცხლება).** მე არ მინდა პროპაგანდა გავწიო. რეკლამას ჩვეულებრივად ისეთ საქონელს უკეთებენ, რომელსაც სუნი ასდის. **(სიცილი, ტაში).** კომუნიზმი კი ჩაწოლილი საქონელი როდია. საღ საქონელს რეკლამა არ ესაჭიროება. **(მხიარული გამოცოცხლება).**

კითხვა: მე როგორც მუშას, როგორც ქალს მინდა მოგცეთ კითხვა ახალნაქორწინევთა შესახებ. აქ, საფრანგეთში, ბინები გვაკლია, და ჩემი ამხანაგების ერთი ნაწილი მძიმე პირობებში ცხოვრობს. გთხოვთ მაპატიოთ. რომ ცოტათი ვღელავ, მაგრამ არა ვარ ჩვეული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან საუბარს. მინდა ვიცოდე, როგორ ნაწილდება საბჭოთა კავშირში ბინები, ვინ ანაწილებს?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენში ბინის საკითხი ძალიან ძნელი იყო. ამჟამადაც ეს სიძნელეები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. მაგრამ ჩვენ ახლა მეტს ვაშენებთ, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე ქვეყანა. საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა საბინაო მშენებლობის პროგრამა 10-12 წლისათვის. ვფიქრობ, რომ ამ პროგრამას უთუოდ შევასრულებთ 10, ხოლო შესაძლოა 9 წელიწადშიც.

მოსკოვის მაგალითით შეიძლება ნახოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენში ბინების მშენებლობა. ოქტომბრის რევოლუციამდე მოსკოვს ჰქონდა 11 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. აღორძინებამდე ხარისხზე. ბევრ სახლს არ ჰქონდა კანალიზაცია, წყალსადენი, არ ჰქონდა ელექტროგანათება.

შარშან მოსკოვში აშენდა 2.700.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. წელს აშენდება სამი მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამრიგად გამოდის, რომ იმდენი ბინა, რამდენიც მეფის რუსეთში 800 წელს აშენდა, ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ 3-4 წელიწადში და უფრო კარგი ხარისხისა.

თქვენ მეკითხებით, როგორ ნაწილდება საბჭოთა კავშირში საცხოვრებელი ფართობი.

ბინების განაწილება ჩვენში პროფკავშირთა უშუალო მონაწილეობით ხდება. ჩვენმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საწარმოს დირექტორს არ შეუძლია თვითონ გაანაწილოს ბინები პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად. პროფკავშირს აქვს იმათი სიები, ვისაც ბინა ესაჭიროება, და თვალყურს ადევნებს იმას, რომ ბინის მიცემაში დაცული იყოს რიგისობა. ბევრმა წინასწარ იცის, როდის მიიღებს ბინას. ვფიქრობ, რომ არც ისე დიდი ხანი გავა და ჩვენ აღმოვფხვრით ბინის ნაკლებობას.

მობრძანდით ჩვენთან, ნახეთ, როგორ ვაშენებთ. მე ვიყავი საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქში და ვნახე, როგორ მიმდინარეობს თქვენში მშენებლობა. მე მივიწვევ თქვენი ქალაქების მერები საბჭოთა კავშირში. ჩამოვიდნენ და ნახონ, როგორ მიმდინარეობს ჩვენში მშენებლობა. ვფიქრობ, ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ. ჩვენში უფრო ინდუსტრიულ მეთოდებს ვიყენებთ, ჩვენ შეგვიძლია ხალისით გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება.

საუბრის ერთ-ერთი მონაწილე: ბოდიშს ვითხოვ, ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ მოგმართავთ ყოფილი ფრონტელი. შარშან მწერალ პოლევოის მეშვეობით შევიტყე, რომ რუსებს მემორიალური დაფა დაუარსებიათ იმ ფრანგი სამხედრო ტყვეების ხსოვნისათვის, რომლებიც რავა-რუსსკაიას ბანაკიდან გაიქცნენ. მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და მადლობა გადაგიხადოთ ამისათვის.

საფრანგეთის ერთ-ერთი პროფკავშირული მოღვაწე: თქვენ თქვით, პროპაგანდის გაწევა არ მინდაო, მაგრამ თქვენი აქ ყოფნის მარტო ფაქტით დიდი სარგებლობა მოგაქვთ მშვიდობისათვის, ხალხებისათვის. და კიდევ გეტყვით შემდეგს: ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა იცის, რომ როგორც ხელფასის საკითხებში, ისე სამუშაო დღის საკითხებში ჩვენ უნდა ვიაროთ იმ გზით, რომლითაც თქვენ მიდიხართ.

ნ. ს. ხრუშჩოვი: მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ხალხისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

კითხვა: მე ქარხანა „შოსონის“ (სატვირთო მანქანების ქარხანა) დელეგატი ვარ, მე არ მინდა დავსვა თქვენს წინაშე კითხვები თქვენი მოგზაურობის, პიროვნების თავისუფლების შესახებ და ა. შ. მინდა მოგცეთ სხვა კითხვა, რომელიც მაინტერესებს მე და აინტერესებთ მეც 10 ან 15-ჯერ ნაკლები მანქანა, ვიდრე. მაბინ, თუ ვეცდებოდით, რომ თვითეული კაცი პოდი მანქანით უზრუნველგვყო. ჩვენ უკეთ დავაკმაყოფილებთ ადამიანთა მოთხოვნილებას მსუბუქ მანქანებზე. ადამიანები ხომ მოსეტიალენი არ არიან. ისინი ხომ მუშაობენ. ხოლო როცა ადამიანები მუშაობენ, მანქანა დგას. მაგრამ თუ მანქანა დგას, არ მუშაობს. იგი სულ ერთია ძველდება. ამიტომ ჩვენ გონივრულად არ მიგვაჩნია გვქონდეს ზედმეტად ბევრი მსუბუქი ავტომანქანა. მსუბუქი ავტომანქანების გამოყენების კერძომესაკუთრული კაპიტალისტური მიმართულება ჩვენთვის შეუფერებელია. ჩვენ მოსახლეობის მოსახურებაში სოციალისტურ მეთოდს შევიტანთ.

გაქვთ თუ არა კიდევ შეკითხვები? არა?

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, ამხანაგებო (მოგმართავთ ისე, როგორც პროფკავშირის წევრი მიმართავს პროფკავშირის სხვა წევრებს), მადლობა მოგახსენოთ ამ საუბრისათვის. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შეგხვედით. მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ მეტი კონტაქტი იქნას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რათა უფრო ფართოდ მოგვარდეს მუდმივი ურთიერთობა და კონტაქტები ჩვენი ქვეყნების პროფკავშირებს შორის.

ნუ გეშინიათ ჩვენი პროფკავშირებისა. საბჭოთა პროფკავშირების წევრები არ მოითხოვენ იმას, რომ ვისაც თქვენს შორის არ სურს იყოს კომუნისტი, კომუნისტი გახდეს. ჩვენს წარმომადგენლებს არ ეშინიათ შეეხვდნენ თქვენ, ჩამოვიდნენ თქვენში. ისინი სიამოვნებით შეხვდებიან თქვენს პროფკავშირთა წევრებს, მიუხედავად იმისა, თუ რა პროფკავშირებია ეს, რომელი პარტიის წარმომადგენლები მეთაურობენ მათ. ჩვენ არ გვეშინია, რომ აგიაცდენთ ჩვენ მიერ არჩეულ კომუნისტურ გზას. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

მეტი შეხვედრა იქნება, უკეთ გავუგებთ ერთიმეორეს. ეს დაგვეხმარება განვამტკიცოთ მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის, განვამტკიცოთ მშვიდობა. სოციალური წყობილების საკითხები კი თვითეული ქვეყნის საშინაო საქმეა. ჩვენ თვითონ არ გვინდა ჩაგერიოთ თქვენს საშინაო საქმეებში და ძალიან არ გვიყვარს, თუ ვინმე ერევა ჩვენს საქმეებში. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ვფიქრობ, ასეთ პირობებში ჩვენ შეგვიძლია ვიმეგობროთ და განვამტკიცოთ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

გმადლობთ ყურადღებისათვის, გისურვებთ წარმატებას. **(ხანგრძლივი ტაში).**



ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში. ავტომობილები შედიან ქალაქ ნიმში. კოკისპირული წვიმაა, მაგრამ ქალაქის ყველა ქუჩაში და ცენტრალურ მოედანზე მაინც ათასობით მცხოვრები დგას, ისინი მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს. საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტის დღეებში განსაკუთრებით დიდი სამუშაო გაუწევდათ გაზეთების გამყიდველებს, რომლებიც ხალისით ყვირავენ ქალაქის ქუჩებს.

ფოტო საკავშირო სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. სობოლევისა.

მ. ბოტვინიკის პირველი გამარჯვება

მოსკოვი. 1 აპრილი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მსოფლიო პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის მატჩის მე-8 პარტიის გადადებულმა პოზიციამ მოსკოვში მყოფი გროსმაისტერებს გაცხოველებული დავა გამოიწვია.

საშაჭადრაკო კლუბში დილიდანვე შეიქნა ტელეფონების რეკა ქარხნებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, დაწესებულებებიდან.

— როგორ შეფასებას აძლევთ გადადებულ პოზიციას? რა სვლა შეიძლებოდა ჩაეწერა მ. ბოტვინიკს? — კითხულობდნენ ერთნი, ხოლო იმ კოლექტივებში, სადაც კვალიფიციური მოჭადრაკეები ჰყავთ, იმ აზრს გამოთქვამდნენ, რომ თუ მ. ბოტვინიკს 41-ე სვლა ჩაწერილი აქვს მf7+, იგი პარტიას უთუოდ მოიგებსო.

მართლაც მატჩის არც ერთ შეხვედრას არ გამოუწვევია ისეთი საყოველთაო ინტერესი, როგორც მე-8 პარტიის გადადებულ პოზიციას. უნდა ითქვას, რომ არა მარტო რიგით მოჭადრაკეებში, არამედ გროსმაისტერებშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხზე.

გადადებული პარტიის ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ თეორიის ყველაზე ძლიერი სვლა მf7+ იყო, რომელსაც თეორები უტყუარ გამარჯვებამდე მიიყვანდა.

რა სვლა ჩაიწერა მ. ბოტვინიკმა? როდესაც მატჩის მთავარმა არბიტრმა გროსმაისტერმა გ. შტალბერგმა კონვერტი გახსნა, აღმოჩნდა რომ მსოფლიოს ჩემპიონს ჩაეწერა სწორედ ეს სვლა, რიგელ გროსმაისტერს ბრძოლა არ გაუგრძელებია და მ. ბოტვინიკს პირველი გამარჯვება მიუღია.

ამრიგად, მატჩის რვა პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 5:3 მ. ტალის სასარგებლოდ.

პარტიის დამთავრების შემდეგ მ. ტალმა ჩემთან საუბარში განაცხადა, 34-ე სვლაზე მე ხელი მოვკიდე არა იმ იტლს, რომლითაც საჭირო იყო სვლის გაკეთება, არამედ მეორეს. ამ შეცდომის შემდეგ, ბუნებრივია, ხასიათი გამიფუჭდა, მოვხვდი ცაიტნოტში და გავაკეთე წასაგები სვლა 0:0-ის საჭირო იყო 0:1, რომელიც შავებს ყაიმის რეალურ შანსებს აძლევდა.

2 აპრილს შედგება მატჩის მე-9 პარტია. თეთრებით ითამაშებს მ. ტალი.

ვ. რაგოზინი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

საავიაციო ავტასტროფები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საკდესი). როგორც ასოციეიტედ პრესის საგენტო იუწყება, დღეს ჰიუზონი ლიტლ-რო�ს (არკანზასის შტატი) თავზე აფეთქდა რეაქტიული ბომბდამშენი „ბ-47“. ექვსმოტორიანი თვითმფრინავის ნამსხვრევი ჩამოცვივდა საცხოვრებელი სახლის უბანში შტატის საკანონმდებლო კოების შენობის ახლოს. დაინგრა 6 სახლი, გაჩნდა ხანძარი. ორის მსხვერპლი მცხოვრებთა შორის. თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ.

იმავე საგენტოს კორესპონდენტი „პატრიოტის“ (ფლორიდის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან იუწყება, რომ მოსტრიკის“ (ფლორიდის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან იუწყება, რომ მოტრიკის“ (ფლორიდის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან იუწყება, რომ მოს